

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის ბაზაზე არსებული მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკი აცხადებს ვაკანსიას კოლექციის თანამშრომელის პოზიციაზე.

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პიროვნული თვისებები:

- აგრარული ან საბუნებისმეტყველო განათლება
- დისციპლინის, წესებისა და პროცედურების დაცვა;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ინფორმაციის ანალიზის და გადაცემის უნარი;
- დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის უნარები;
- დროის ეფექტურად მართვის უნარი;
- სავალდებულოა კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა (B1 დონე).

ძირითადი სამუშაო მოვალეობები:

- კოლექციის ნიმუშების სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი;
- გამრავლებული ნიმუშების განმენდა, შრობა და თესლის ნიმუშის კოლექციაში შესანახად მომზადება;
- კოლექციის ანალიზი, შესწავლა და დესკრიპტორების მიხედვით დახასიათება;
- კოლექციის მონაცემთა გამართული ბაზის წარმოება, თანხმლები დოკუმენტაციის შენახვა, ნიმუშის პასპორტის წარმოება;
- პერიოდულად სავალდებულო სამუშაოებში მონაწილეობის მიღება;
- სხვა, გენბანკის ამოცანებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე საქმეები.

სამუშაო გრაფიკი:

სრული განაკვეთი (მოქნილი გრაფიკი).

ანაზღაურება 400 ლარი.

აპლიკაციის პროცესი:

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გააგზავნონ რეზიუმე (CV) ელ-ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: vacancy@agruni.edu.ge

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება CV-ის მიხედვით, მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

გთხოვთ, წერილის სათაურის ველში მიუთითოთ „კოლექციის თანამშრომელი“. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2022 წლის 18 აპრილი**.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: კახა ბენდუქიძის კამპუსი; თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #240;

ელ-ფოსტა: vacancy@agruni.edu.ge

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge